N 370
07/04/2023

370-01-3-202304071203

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან გამყრელიძეს

ამავე სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული
დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს
IT სპეციალისტის
ზურაბ თოდაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრის Moodle-ის პროგრამის გამართული ფუნქციონირებისთვის, მიზანშეწონილად მიმაჩნია უწყვეტი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა, რომელიც მოიცავს:

1. ერთჯერადად Moodle-ის პროგრამის მთლიანი (სისტემის ფაილები, მონაცემთა ბაზა და სხვა) სარეზერვო ასლის მოწოდება;
2. სარეზერვო ასლების შექმნა კვირაში ერთხელ და გამოგზავნა, მეილზე (ztodadze@lta.gov.ge) ან Google Drive-ს საშუალებით;
3. Moodle-ის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა;
4. სისტემის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა;
5. პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;
6. პროგრამაში წვდომების განსაზღვრა;
7. SSL სერთიფიკატის დაყენება.
8. სარეზერვო ასლების სისტემების დანერგვა შემსყიდველის მიერ გამოყოფილ მოწყობილობაზე და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.

ტექნიკური მხარდაჭერის ყოველთვიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 318.88 ლარს საშემოსავლო გადასახადის და საპენსიო დანარიცხის გათვალისწინებით.

ამასთან მოგახსენებთ, რომ Moodl-ის პროგრამას ესაჭიროება კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების SSL სერტიფიკატის (Thawte SSL 123 Certificate) ერთწლიანი ლიცენზია, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს გამოცდების შეუფერხებლად ჩატარება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს Moodl-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების (2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) და უსაფრთხოების SSL სერტიფიკატის შესყიდვას განხორციელება.

დანართი: 2 ელ. ფაილი.

პატივისცემით
ზურაბ თოდაძე

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2023.04.07 15:29:46 +04'00'